

საქართველოს კანონი

„საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“

საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1.

„საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებანი #44, 11.11.1997წ. გვ.86) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ და „თ¹“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) საქართველოს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე და მათთან გათანაბრებული პირები, აგრეთვე სამმართველოს უფროსი, მისი მოადგილე;

თ¹) საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე, აგრეთვე მათთან გათანაბრებული პირები;”

2. მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ) საქართველოს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ხელმძღვანელი და მისი მოადგილე;”

3. მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ კანონის IV თავის მიზნებისათვის ტერმინში „თანამდებობის პირი“ იგულისხმება საჯარო სამართლის იურიდიული პირის (გარდა რელიგიური,

კულტურული, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი ნიშნით შექმნილი) ხელმძღვანელი, მისი მოადგილე, ასევე სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის და იმ საწარმოს ხელმძღვანელი, რომლის აქციათა ან წილის 100%-ს ფლობს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, რომელთა ჩამონათვალიც განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.”.

4. მე-13 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. თანამდებობის პირის სამსახურებრივი ზედამხედველობის ქვეშ მყოფ თანამდებობაზე საჯარო მოხელედ არ შეიძლება დაინიშნოს ამ პირის ახლო ნათესავი.“.

5. მე-14 მუხლის მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. შესაბამისი საჯარო დაწესებულების უფლებამოსილი პირი ვალდებულია, სათანადო ბრძანების გამოცემიდან არა უგვიანეს 7 სამუშაო დღისა საჯარო სამსახურის ბიუროს მიაწოდოს პირის სადეკლარაციო თანამდებობაზე განწესების ან თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის ასლი. ამ პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს უფლებამოსილი პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, რის თაობაზედაც გამოიცემა ბიუროს უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – განკარგულება ჯარიმის დაკისრების შესახებ.

6. მე-14 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-11- მე-13 პუნქტები:

11. ჯარიმის დაკისრების შესახებ განკარგულებას გამოსცემს ბიუროს უფროსი მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით. პირმა ჯარიმა უნდა გადაიხადოს ჯარიმის დაკისრების შესახებ განკარგულების ოფიციალური გაცნობიდან არა უგვიანეს 30 დღისა. ჯარიმა გადახდილად ჩაითვლება ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის ბიუროში წარდგენის შემდეგ. ჯარიმის გადახდა არ ათავისუფლებს პირს სადეკლარაციო თანამდებობაზე განწესების ან თანამდებობიდან გათავისუფლების

შესახებ ინფორმაციის საჯარო სამსახურის ბიუროსთვის მიწოდების ვალდებულებისგან.

12. ჯარიმის დაკისრების შესახებ განკარგულების გასაჩივრება არ აჩერებს მის აღსრულებას.

13. ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსების ორთვიანი ვადის ათვლა დაიწყება პირის თანამდებობაზე დანიშვნის ან გათავისუფლების შესახებ ინფორმაციის ბიუროსთვის ოფიციალურად შეტყობინების მომენტიდან.”.

7. მე-15 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 15

1. თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია შეიცავს შემდეგ ინფორმაციას პირისა და მისი ოჯახის წევრების შესახებ :

ა) პირის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მისამართი და ტელეფონის ნომერი, მობილური ტელეფონის ნომერი და მოქმედი ელექტრონული ფოსტის მისამართი;

ბ) პირის სამსახური, დაკავებული თანამდებობა, სამსახურის მისამართი, ტელეფონის ნომერი;

გ) პირის, მისი ოჯახის წევრების სახელი, გვარი, დაბადების ადგილი, წელი, თვე და რიცხვი, პირთან ნათესაური ან სხვაგვარი კავშირი;

დ) პირის, მისი ოჯახის წევრების საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება – მესაკუთრის ვინაობა (თუ ნივთი საერთო საკუთრებაში იმყოფება, უნდა მიეთითოს აგრეთვე თანამესაკუთრის ვინაობა; თუ ნივთი საერთო წილობრივ საკუთრებაში იმყოფება, უნდა მიეთითოს აგრეთვე პირის, მისი ოჯახის წევრის წილის ოდენობა),

ქონების საერთო ფართობი და ადგილმდებარეობა (ქვეყანა, ქალაქი (დასახლებული პუნქტი), სრული მისამართი);

ე) პირის, მისი ოჯახის წევრების საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება (ფასიანი ქაღალდების, საბანკო ანგარიშის ან / და შენატანის, ნაღდი ფულადი თანხის გარდა), რომელთაგან თითოეულის ღირებულება აღემატება 10 000 ლარს – მესაკუთრის ვინაობა (თუ ნივთი საერთო საკუთრებაში იმყოფება, უნდა მიეთითოს აგრეთვე თანამესაკუთრის ვინაობა; თუ ნივთი საერთო წილობრივ საკუთრებაში იმყოფება, უნდა მიეთითოს აგრეთვე პირის, მისი ოჯახის წევრის წილის ოდენობა);

ვ) პირის, მისი ოჯახის წევრის საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდები – ფასიანი ქაღალდის ემიტენტი, მესაკუთრის ვინაობა, ფასიანი ქაღალდის სახეობა, ნომინალი, რაოდენობა;

ზ) საქართველოს ან სხვა ქვეყნის საბანკო ან/და სხვა საკრედიტო დაწესებულებაში არსებული ანგარიში ან/და შენატანი, რომლის განკარგვის უფლებაც აქვს პირს ან მისი ოჯახის წევრს, – ანგარიშის ან/და შენატანის განმკარგავი პირის ვინაობა, საბანკო ან/და სხვა საკრედიტო დაწესებულების დასახელება, ანგარიშის ან/და შენატანის სახეობა, ანგარიშზე ან/და შენატანზე არსებული ნაშთი (კრედიტი ან დებეტი);

თ) პირის, მისი ოჯახის წევრის საკუთრებაში არსებული ნაღდი ფულადი თანხა, რომლის ოდენობა აღემატება 4 000 ლარს – ფულადი თანხის მესაკუთრის ვინაობა, ფულადი თანხის ოდენობა შესაბამის ვალუტაში;

ი) საქართველოში ან სხვა ქვეყანაში სამეწარმეო საქმიანობაში პირის, მისი ოჯახის წევრის მონაწილეობა – სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილე პირის ვინაობა, საწარმოს სრული საფირმო სახელწოდება, მონაწილეობის ფორმა, საწარმოს მარეგისტრირებული ორგანო და რეგისტრაციის თარიღი, საწარმოს იურიდიული მისამართი, სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობის დროის მონაკვეთი, საანგარიშო პერიოდში სამეწარმეო საქმიანობით მიღებული შემოსავალი;

კ) საქართველოში ან სხვა ქვეყანაში პირის, მისი ოჯახის წევრის მიერ შესრულებული ნებისმიერი ანაზღაურებადი სამუშაო, სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობის გარდა - სამუშაოს შემსრულებელი პირის ვინაობა, სამსახური, რომელშიც პირს უკავია/ეკავა თანამდებობა ან ასრულებს/ასრულებდა სამუშაოს, თანამდებობის დასახელება ან სამუშაოს შინაარსი, საანგარიშო პერიოდში სამუშაოს შესრულებით მიღებული შემოსავალი (თანამდებობრივი სარგო, პრემია და კანონით გათვალისწინებული სხვა დანამატები მიეთითება ცალ-ცალკე);

ლ) საქართველოში ან სხვა ქვეყანაში პირის, მისი ოჯახის წევრის მიერ დადებული ნებისმიერი ხელშეკრულება, რომლის საგნის ღირებულება აღემატება 3 000 ლარს (მათ შორის , წილის მინდობის ხელშეკრულება , ღირებულების მიუხედავად) – ხელშეკრულების სახეობა, ხელშეკრულებაში მონაწილე პირის ვინაობა, ხელშეკრულების საგანი და მისი ღირებულება, ხელშეკრულების დადების თარიღი და მოქმედების ვადა, ორგანო, რომელმაც მოახდინა ხელშეკრულების სახელმწიფო რეგისტრაცია ან დამოწმება , საანგარიშო პერიოდში ხელშეკრულებით მიღებული მატერიალური შედეგი;

მ) პირის, მისი ოჯახის წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში მიღებული საჩუქარი, რომლის ღირებულება აღემატება 500 ლარს – საჩუქრის მიმღების ვინაობა, საჩუქრის გადამცემი, გადამცემის მიმღებთან კავშირი, საჩუქრის სახეობა, საჩუქრის საბაზრო ღირებულება;

ნ) საანგარიშო პერიოდში პირის , მისი ოჯახის წევრის ნებისმიერი შემოსავალი ან/ და გასავალი , რომლის ოდენობა (ღირებულება) თითოეულ შემთხვევაში აღემატება 1 500 ლარს , ამ მუხლში აღნიშნული სხვა შემოსავლის ან / და გასავლის გარდა – პირი , მისი ოჯახის წევრი , ვისაც ჰქონდა შემოსავალი ან / და გასავალი , შემოსავლის ან / და გასავლის სახეობა , შემოსავლის ან / და გასავლის ოდენობა (ღირებულება);

ო) საიდუმლო გრაფა – ქონების სახეობა (შინაარსი) და ქონებასთან დაკავშირებული პირის , მისი ოჯახის წევრის ვინაობა , ქონებასთან პირის , მისი ოჯახის წევრის კავშირი , ქონების საბაზრო ღირებულება ან / და ოდენობა;

პ) დეკლარაციის შევსების თარიღი.

2. თანამდებობის პირს უფლება აქვს მოახდინოს ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში შეტანილი ინფორმაციის რედაქტირება მისი ჩაბარებიდან 48 საათის განმავლობაში.“.

8. VI თავს დაემატოს 21³ მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 21³.

1. 2013 წლის 1 სექტემბრამდე საქართველოს მთავრობამ მოამზადოს და საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს შესაბამისი საკანონმდებლო აქტის პროექტი თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის მექანიზმის შექმნის თაობაზე.

2. 2013 წლის 1 სექტემბრამდე საქართველოს მთავრობამ მოამზადოს და საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს შესაბამისი საკანონმდებლო აქტის პროექტი საჯარო მოსამსახურეთა ეთიკის საბჭოს შექმნის თაობაზე.”.

მუხლი 2.

ამ კანონის პირველი მუხლით განსაზღვრული პირები, რომლებიც ამ კანონის ამოქმედებამდე არ იგულისხმებოდნენ ტერმინში „თანამდებობის პირი“ თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციას საჯარო სამსახურის ბიუროში წარადგენენ ამ კანონის ამოქმედებიდან 2 თვის ვადაში.

მუხლი 3.

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე
„საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“
საქართველოს კანონში
ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი;

კანონპროექტის შემუშავება განაპირობა საჯარო სამსახურში გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლების საჭიროებამ და ქვეყნის მიერ ამ მიმართულებით აღებული ვალდებულებების შესრულების აუცილებლობამ. პროექტი ითვალისწინებს საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ ნორმების დახვეწას. გარდა აღნიშნულისა, კანონპროექტი აწესრიგებს დეკლარირების სისტემასთან დაკავშირებულ გარკვეულ საკითხებს და ზრდის იმ პირთა რიცხვს, რომლებიც ვალდებული არიან წარადგინონ თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი;

კანონპროექტის მიზანია დეკლარირების სისტემის სრულყოფა და საჯარო სამსახურში გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების ხარისხის გაზრდა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი;

კანონპროექტის მიხედვით, ცვლილებები შედის „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლში.

ცვლილებების თანახმად, თანამდებობის პირებად დამატებით განისაზღვრნენ საქართველოს სამინისტროს სამმართველოს უფროსი, მისი მოადგილე საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელის მოადგილე, აგრეთვე მასთან გათანაბრებული პირები, საქართველოს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ხელმძღვანელის მოადგილე.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კანონპროექტის თანახმად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის ვალდებულება ასევე დაეკისრებათ საჯარო სამართლის იურიდიული პირის (გარდა რელიგიური, კულტურული, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი ნიშნით შექმნილი) ხელმძღვანელს (ყველას გამონაკლისის გარდა, ცვლილებამდე მხოლოდ გარკვეულ ნაწილს ჰქონდა აღნიშნული ვალდებულება), მის მოადგილეს, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული არაკომერციული იურიდიული პირის და იმ საწარმოს ხელმძღვანელს, რომლის აქციათა ან წილის 100%-ს ფლობს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო. აღნიშნული თანამდებობების განსაზღვრა მოხდება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით. აღნიშნული ცვლილება მნიშვნელოვნად გაზრდის გამჭვირვალობის დონეს საჯარო სექტორში.

ცვლილება შედის კანონის მე-13 მუხლის მე-7 პუნქტში. განხორციელებული ცვლილება დაგვეხმარება აღმოვხვრათ ინტერესთა შეუთავსებლობა საჯარო სამსახურში, ვინაიდან შეუძლებელი იქნება თანამდებობის პირის სამსახურებრივი ზედამხედველობის ქვეშ მყოფ თანამდებობაზე საჯარო მოხელედ მისი ახლო ნათესავის დანიშვნა, თუნდაც კონკურსის წესით.

ხშირია შემთხვევები, როდესაც შესაბამისი საჯარო დაწესებულების უფლებამოსილი პირები არ ასრულებენ საკუთარ ვალდებულებას და დადგენილ ვადაში არ წარუდგენენ საჯარო სამსახურის ბიუროს პირის სადეკლარაციო თანამდებობაზე დანიშვნის ან თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის ასლს, რაც იწვევს თანამდებობის პირების დაჯარიმებას. სწორედ ამიტომ ცვლილება შედის კანონის მე-14 მუხლში. კანონპროექტის თანახმად, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება ზემოაღნიშნული ვალდებულების შესრულება და საჯარო სამსახურის ბიუროს კანონთ დადგენილ ვადაში არ გადაეგზავნება დანიშვნის ან თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის ასლი შესაბამისი საჯარო დაწესებულების უფლებამოსილი პირები დაჯარიმდებიან 500 ლარის ოდენობით. ამავე მუხლით დგინდება დაჯარიმების წესი. გარდა ამისა, ცვლილება ადგენს დეკლარაციის შევსების ვადებს იმ პირთათვის, რომელთა დანიშვნის

ან თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის ასლი დროულად არ იქნა მიწოდებული საჯარო სამსახურის ბიუროსათვის.

კანონპროექტის თანახმად, ცვლილებები შედის კანონის მე-15 მუხლში. ცვლილების თანახმად, ზუსტდება თუ რა იგულისხმება ქონების ადგილმდებარეობაში. დგინდება, რომ თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში თანამდებობრივი სარგო, პრემია და კანონით გათვალისწინებული სხვა დანამატები უნდა მიეთითოს ცალ-ცალკე. ცვლილებით, ასევე განისაზღვრა, რომ თანამდებობის პირს შესაძლებლობა აქვს ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის რედაქტირება მოახდინოს მისი ჩაბარებიდან 48 საათში.

ცვლილების პროექტის საფუძველზე, კანონს ემატება 21³ მუხლი, რომლის მიხედვითაც საქართველოს მთავრობას ეკისრება ორი მნიშვნელოვანი ვალდებულება, 2013 წლის 1 სექტემბრამდე მოამზადოს და საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს შესაბამისი საკანონმდებლო აქტების პროექტები თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის მექანიზმის შექმნისა და საჯარო მოსამსახურეთა ეთიკის საბჭოს შექმნის თაობაზე.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები.

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

კანონპროექტის მიღება არ გააუარესებს იმ პირთა ფინანსურ მდგომარეობას, რომელთა მიმართაც ვრცელდება მისი მოქმედება;

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);

კანონპროექტი არ ადგენს რაიმე სახის გადასახადს ან მოსაკრებელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან;

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან;

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

კანონპროექტის შემუშავებასთან დაკავშირებით გამართულ სამუშაო შეხვედრებზე მონაწილეობა არ მიუღიათ არასამთავრობო, საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულებებს, ექსპერტებს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

კანონპროექტს არ ახლავს ექსპერტების შეფასება.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი;

კანონპროექტის ავტორია – საჯარო სამსახურის ბიურო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი;

კანონპროექტის ინიციატორები არიან –